ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3784698

ნომერი: AR1565152

თარიღი : 15.12.2017

გაცემის თარიღი : 22.01.2018

გაცნობის თარიღი : 23.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ლაღიძე პ/ნ 01009019141
- თბილისი ე.მინდელის ქ. N 1 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 ოქტომბერს № AR1565152 განცხადებით მომართა მოქ. ივანე ლაღიძემ და მოითხოვა ვაკე, ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს '' მანსი არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.14.05.008.311) 60 კვ.მ მდე შენობა-ნაგებობის განთავსება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისი, ვაკე, ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს '' მანსი არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.14.05.008.311) ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), სადაც მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილი ობიექტის - 60 კვ.მ მდე შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საჭიროებს სპეციალური (ზონალურ) შეთანხმებას.

სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს რეკომენდაციისა და მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის №46.20.916 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 17 დეკემბრის №20.03.270 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 29 აპრილის №17.36.497 განკარგულება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №7-13 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილება.“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მოქმედი რედაქციის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღებისათვის, განაცხადი შესაძლებელია დარეგისტრირდეს სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით შემდეგი თანმიმდევრობით: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები -> ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის განთავსება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.